[illegible]

№ 408 1918 წ. კვირა. დეკემბერი 15. № 408

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ. [illegible] 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ინგლის-ამერიკელთა წარმომადგენლებმა [illegible] გეჭკორს განუცხადეს, რომ ისინი ხელს შეუწყობენ დასავლეთში საქართველოს [illegible] შექმნას. საქ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სომხეთს ხანაინის ამბების გამო ნოტა გაუგზავნა. გერმანიაში სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა იმარჯვებს.

გულ-დამწვარი მშობლები ეკატერინე გიორგის ასული, ივანე თამაზის ძე გელდიაშვილი, ქმარი მიხეილ ივანეს ძე ღვინიაშვილი, დები: სოფიო, ნინო, ანა, ოლღა ივანეს ასულები, ძმა ალექსი და რძალი, სიძეები: სვიმონ მიხეილის ძე კუზმანიშვილი, ივანე ივანეს ძე ედიშერაშვილი და გერონტი მინას ძე კილოსანია, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ, რომ კვირას დეკემბრის 15-ს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება 10 ს. პანაშვიდი 12 საათზე.

მარიამ ივანეს ასული ღვინიაშვილის

ღრმად დამწუხრებულნი ალექსანდრე, ივანე და მიხეილ ოტიას-ძენი ლაჭავანი, ნატალია ოტიას ასული ბურჯანაძისა; მარიამ ოტიას ასული მელნიკოვისა, ნინო ნიკოლოზის ასული ლაჭავაი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დეკემბრის 10-ს გარდაიცვალა საყვარელი, დაუვიწყარი პირველთა მამა, ხოლო უკანასკნელთა მამამთილი

ოტია სიმონის ძე ლაჭავა

გამოსვენება მოხდება დეკემბრის 15 ს (ახ. სტ.) არამიანცის საავადმყოფოდან დილის 11 ნახ საათზე; დაკრძალვა შუადღის 1 ნახ. საათზე ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში. 2573

მარიამ ნიკოლოზის ასული და სამსონ ძილაქიას ძე ასათიანი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მათი ძვირფასი შვილის და დის

ვერა სამსონის ასულის ასათიანისა

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქმნება კვირას დეკემბრის 15-ს დღის 12 საათზე წმ. ნიკოლოზის ვერის ეკლესიაში. 2580.

დედა ნინო ლევანის ასული, მეუღლე ნატალია ნიკოლოზის ასული, ძმები ვლადიმერ და ივანე აბრამის-ძენი, რძლები ნინო იოროთეს ასული ნინო ივანეს ასული ნასიძენი, და თამარ აბრამის ასული, სიძე ალექსანდრე იოსების-ძე გილაშვილები, მამიდა მარიამ ივანეს ასული რცხილაძისა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, დეკემბრის 15 ს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაუვიწყარი და უსაყვარლესი

სერგია (სერიოჟა) აბრამის ძე ნასიძის

სულის მოსახსენებლად, წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 1 საათზე. 2591.

იოსებ დიმიტრის ძე და მეუღლე მისა ოლღა გიორგის ასული ტატიშვილები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი ძმის წული, მეორის მაზლის წული და მესამის ბიძაშვილი

ელენე პავლეს ასული ბაგრატიონ-დავითაშვილისა

გამოსვენება სახლიდან დღეს, 9 ნახ საათზე ქაშვეთის წმ. გიორ[გის] ეკლესიაში. სახლი 24 პარალელური ქუჩა № 11. 2589.

ღრმად დამწუხრებული დედა კესარია ფიფიას ასული ძმები ალექსი, ჯუნდა, გუდუ და ზებედე გოგიასძენი, დები ვარვარა, ციცუ და კაკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

სტეფანე გოგიასძე ბაძაღუასას

რომელიც იქმნა ვერაგულად მოკლული ბაღდადის მთაზედ „მოლობილაზიდ" 1918 წ. დეკემბრის 7-ს ტირილის და უკანასკნელი გამოთხოვების დრო დანიშნულია 1918 წ. დეკემბრის 8-ს ძველი სტილით. სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზედ. 2574.

გიორგი პავლეს ძე ნიკოლოზ, ალექსანდრე, დიმიტრი ესტატეს ძენ მოზდოკელნი მეუღლითურთ, დარო ესტატეს ასული მილორავასი მეუღლითურთ და ანასტასია მოზდოკელი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ და საყვარელ მაიორის ქვრივის

თევრონია [თევრო] ალექსანდრეს ასული სულიკოვისას

პანაშვიდი მუდამ დღე საღამოს 5 საათზე. მიცვალებულის გასვენება კალოუბნის ეკლესიაში სამშაბათს, დეკემბრის 17-ს, 9 ნახ. საათზე, სასამართლოს ქუჩა № 44. დაკრძალვა ქ დუშეთში. 2520

ევდოკია ალექსანდრეს ასული მოზდოკელისა, მელანია ალექსანდრეს ასული ზუმბულიძისა, ეკატერინე ალექსანდრეს ასული და დავით იოსების ძე დათაძენი და რძლები ბარბარე ალექსის ასული და პელაგია ნასყიდას ასული მოზდოკელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ და საყვარელ დისა და მულის მაიორის ქვრივის

თევრონია [თევრო] ალექსანდრეს ასულის სულიკოვისას

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე მიცვალებულის გასვენება კალოუბნის ეკლესიაში სამშაბათ, დეკემბრის 17-ს, 9 ნახ საათზე. სასამართლოს ქუჩა № 44. დაკრძალვა ქ. დუშეთში. 2590

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 15-ს, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბის შენობაში (სასახლის ქ. № 5), დანიშნულია ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება.

განსახილველი საგნები:

1. ახალ წევრთა მიღება, 2. მოხსენება გამგეობისა, 3. მოხსენება სარევიზიო, კომისიისა, 4. საზოგადოების გამგეობის წევრთა, და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 1443

განცხადება

სამასალო განყოფილება საქართველოს სახაზინო რკინის გზისა ამით აცხადებს, რომ დეკემბრის 16-ს 1918 წ. (ახ სტ.) დილის 10 საათზე დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა, სამუშაოდ სრულიად გამოსადეგი მაგარი კირისა (ცემენტი) შემდეგ სადგურებზე:

ტფილისის სადგური, მთავარ სამასალო საწყობში 3196 ტომრისა.

ხაშურის სადგური, სამასალო საწყობში 2196 ტომრისა.

სამტრედიის სადგური, სამასალო საწყობში 4231 ბოჭკისა და 4200 ტომრისა

ფოთის სადგური, ლიანდაგის სამსახურის პირველ უბნის საწყობში 1300 ბოჭკისა.

ყველა ცნობების მიღება ამის შესახებ შეიძლება რკინის გზის მთავარ სამმართველოში სამასალო განყოფილების უფროსთან ყოველ დღე დილის 9 საათ. 3 საათ. 1444

წარმოდგენა **სახელმწიფო თეატრი** № 4, 5, 6.

ორშაბათს, პარასკევს, 1918 წ. დეკემბრის 16, 20, 23-ს,

„კავშირი"-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფერია

სინათლე

(I ნაწილი). 3 მოქმ. და 7 სურ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ-ნ ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით. მსახიობნი: აბაშიძე ტ., ამირაჯიბი ც., ანჯარა ს., დავითაშვილი ნ., ლეჟავა ოლ., სინაურიძე ო., ქილარჯიშვილი მარგ., ჩხეიძე ან., ჯავახიშვილი ნატ., აპტალიდი, აბდუშელი დ., არაბიძე ვ., ბერველი ივ., გამყრელიძე ვ., გვარაძე ნიკ., იმხნელი გ., ლორთქიფანიძე მ., სარაული მიხ., საფაროვი ზ. ფანიაშვილი, ფრონის პირელი გ., ციციშვილი ნიკ., ცხაკაია მ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე შ.

დასაწყისი საღამოს 7 ს

მორიგი წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება „ანტიგონე", „ტარიელ გოლუა".

რეჟისორი შალვა დადიანი. 1438 თანაშემწე ალ. გუგუშვილი

1919 წ. იანვრის 3 (ახ. სტ.) 12 საათ.

ქალ. ზესტაფონში შესდგება სოც.-ფედ. სარევოლ. პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლების სამაზრო

კონფერენცია

განსახილველი საკითხები:

1. მოხსენება მომენტზე, 2. დამფუძნებელი კრება, 3. მოხსენებანი ადგილებიდან, 4. საერობო წვრილი ერთეულები, 5. პარტიული მუშაობა მაზრაში, 6. მიმდინარე საკითხები, 7. არჩევნები.

ყველა ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს; თუ წევრთა რიცხი აღემატება 50 კაცს, მაშინ ორს. 1439

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას, დეკემბრის 15-ს, დილით საბავშვო ოპერა

1 შვიდი თხა, 2 წითელ ქუდა, 3 ბალეტი

დასაწყისი 12 ს.

საღამოს შულგინას, შვამბერგის იანსის კანძინის, პოლიევის და იასეცკის მონაწილეობით **ნერონი**.

სამშაბათს, დეკემბრის 17-ს, საბანეევის, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით **ჰოფმანის ზღაპრები**.

ხუთშაბათს, დეკემბრის 19-ს, ტფილისის პოლიტეხნიკუმის ზალიპსკის, ვრონსკის საბანეევის, ნიკოლსკის, დემიანენკოს მონაწილეობით **სევილიელი დალაქი**

შაბათს, დეკემბრის 21-ს, საბანეევის, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით **ტრავიატა**. 1397

დემოკრატიული კლუბი „მეფუტკრე"

დემ. კლ. არს. ქართ. სახ. წარ. მძათ. წრე.

კვირას, 1918 წ. დეკემბრის 15, წარმოდგენილი იქნება

და-ძმა

დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი.

ბილეთების ფასი სახალხოა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში საღამოს 5—8 საათამდე.

რეჟისორი ბ. ფრანგიშვილი. ✦ და აწყისი საღამოს სრულ 7 ს

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამა დეკემბრის 18 1918 წ. დღით 12 საათზე იწვევს კონკურენციას—გადაკეთება 20 საწერ მაშინების სხვა და სხვა სისტემისა რუსულიდან ქართულ ენაზე. განცხადებები (მსურველთა აიღონ გადაკეთება საწერ მაშინებისა) უნდა გამოგზავნილ იქნეს უსათუოდ დახურული კონვერტები—და არა უგვიანეს დეკემბრის 17-მდის შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი სამასალო განყოფილების უფროსს საქართველოს რკინის გზისა, დაწვრილებით პირადად. ქ. ტფილისი საქართველოს რკინის გზის უფროსის კანცელარია, ყოველ დღე 9 საათიდან 3 საათამდე გარდა უქმისა. 1442.

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, 1918 წ. დეკემბრის 15 ს

ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

დღისით დაიწყება 3 ს. შვიდი ჭიდაობა. საღამოს 7 ნახ. ს. გრანდიოზული წარმოდგენა. ჭიდაობა. ცნობილი მოჭიდავენი გიორგი დათიაშვილი. დაუკრავს ზურნა.

მთავარი ადმინისტრატორი ჰ. ელიზაროვი. 2542

[illegible]

განცხადება

ქართული ლატარია

მოქალაქენო, ნუ აგვიანებთ ბილეთების შეძენას! 1341

[illegible] დეკემბრის 15.

მკითხველებს ეხსომებათ **ბორჩალოს** ამას წინად „კავკაზსკოე ამბები სლოვო" რომ ამტკიცებდა გულის ტკივილით: კი, მართალია, საქართველოში არსებობს წესიერება და უფლებრიობა, მაგრამ ეს იმდენად ქართველ დემოკრატიას და მის ხელმძღვანელებს არ მიეწერებათ, რამდენადაც საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ლოიალობასაო. ჯერ კიდევ ამ გაზეთს ხსენებულ წერილის დაბეჭდვის შემდეგ კალამს მელანი არ შეშრობია, რომ ჰხდება ისეთი მოვლენა, რაიც დიამეტრალურად საწინააღმდეგოს ამტკიცებს: ბორჩალოს მაზრის ავანტიურა და სომხების ბანდების თავდასხმა საქართველოს ჯარზე. ეს ხალხი ან ძალიან დიდ დიპლომატობას აპირებს, ან სისულელით მოსდის ასეთი აბრუნდი ალბად ბისმარკის თქმის ასრულებას აპირებენ: როცა რაიმე საქმის განხორციელება მინდა, მის საწინააღმდეგო სიტყვებს ვამბობო.

რა ჰხდება ამჟამად ბორჩალოში? რამდენიმეჯერ დაესხნენ ქართველ ჯარს და 20 კაცამდე მოგვიკლეს. სომხების ხელმძღვანელები, რასაკვირველია, ხელს იბანენ და ამბობენ: მთავრობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ „აჯანყებულ" ხალხს, ეს პირადი ინიციატივით ჰხდებაო. გვიპასუხებენ, ისე, რანაირადაც გვიპასუხებდნენ ოსმალოები, როცა ბორჩალოში მათი ჯარი იბრძოდა. და მთავრობა სწორედ ისე უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში, რანაირადაც მაშინ მოიქცა: ჯარის გაგზავნა და ალაგმვა „აჯანყებულთა", როგორც მაშინ ავლაგმეთ და ვუჩვენეთ მტერს სიმტკიცე ქართველის მარჯვენისა.

მაგრამ მართლა ასეა საქმე, როგორც ჩვენი მეზობლები გვისახავენ, მართლა მამა აბრამის ბატკნები არიან და მართლაც არა იციან რა? სამინისტროს პირიქით, დანამდვილებითი ცნობები აქვს, რომ ბორჩალოს მაზრაში მეამბოხეებს სომხის აფიცრები და პოლკოვნიკები ხელმძღვანელობენ. აქვთ კავშირი ურთიერთ შორის, უგზავნიან ტყვია-წამალს და ზარბაზნებს, აქვთ შტაბები. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი გარემოება, კარაკლისიდან მეორე ჯგუფს ეკითხებიან: გამოუცხადეთ თუ არა ომი საქართველოსაო.

ჩვენი მთავრობის მოვალეობაა, რაც შიძლე ენერგიულად იმოქმედოს და ნება არავის მისცეს საქართველოს რესპუბლიკის საცინლად აგდებისა. მან ერთსა და იმავე დროს უნდა იმოქმედოს მახვილით იმათ წინააღმდეგ, ვინც პირველად აიღო იგი და მეორე მხრით ეცადოს გამოარკვიოს სომხეთის მთავრობის ნამდვილი როლი ზემოხსენებულ მუხანათურ ამბებში. თუ აქ სომხის მთავრობას არაფერი წილი უდევს, მაშინ მეამბოხეებს უნდა იმნაირ სისასტიკით მოევპყრათ, რანაირადაც რესპუბლიკის მოღალატეებს შეჰფერის. ჩვენ იმედი გვაქვს, საქართვე-

ლოს დემოკრატიული მთავრობა დაიცავს რესპუბლიკის სახელს და შესაფერისს ზომებს მიიღებს ავანტიურისტების წინააღმდეგ, რომელთაც განუზრახავთ არევ-დარევის შექმნა და მერე მოწვევა მესამე ძალისა: აი, როგორ გვჩაგრავენ, აი, როგორ გვავიწროებენ, გვიშველეთო. ჩვენ ამ მდაბალ პროვოკაციის თავს ავიცდენთ და ჩვენი მტრები აქაც მოსტყუვდებიან.

ეროვნული შემოქმედება

თავისუფლებას, ყოველგვარს თავისუფლებას თავის თავად დიდი, განუსაზღვრელი ღირებულება აქვს. თავისუფლებას არავითარი გარეშე გამართლება და დასაბუთება არ ესაჭიროება; ასეთია ეროვნული თავისუფლებაც. ყოვლის უწინარეს იგი იწვევს ძალთა თავისუფალს თამაშს, იგი თავისუფალი სუნთქვაა და ისევე საჭიროა ადამიანისთვის, როგორც—შაბლონურად რომ ვსთქვათ—ჰაერი. რაც უნდა მაძღარი და კმაყოფილი იყოს ერი, საზოგადოება, არასოდეს დაეკარგება სურვილი საკუთარის მოქმედებისა, ნების გამოჩენისა, თავის ძალთა დაუბრკოლებელ ვარჯიშობისა, მას დაუშრეტელი წყურვილი აქვს თვითყოფისა, თვითსახეობისა და თავის მე-ს სისრულეს მხოლოდ მაშინ შეიცნობს და განიცდის სავსებით, როცა თავისუფალია.

არაფერს ვიტყვი თავისუფლების პრაქტიკულ მნიშვნელობისთვის, რომ აუცილებელი პირობაა განვითარებისა ცხოვრების ყოველ დარგში. მინდა აქ მივაქციო ყურადღება მხოლოდ ერთს გარემოებას, რისთვისაც განსაკუთრებით უნდა ვაფასებდეთ დღეს მოპოებულს დამოუკიდებლობას, თავისუფალ საქართველოს აღდგენას. ჩვენს ეროვნულს განთავისუფლებას უდიდესი ღირებულება მით უნდა ჰქონდეს ჩვენთვის, რომ მისი შემწეობით ჩვენი ეროვნული შემოქმედება, კულტურის ნიჭი და უნარი მიაღწევს უმწვერვალეს ხარისხს ამიტომ მაისის ოცდა ექვსს გამოცხადებული აქტი არაჩვეულებრივი ისტორიული ხასიათისაა.

ჩვენი ხანგრძლივი წარსული, რომ შორის შორს არ წავიდეთ და შემოვფარგლოთ ჩვენი მოდგმის არსებობით კავკასიაში,—გამუდმებული ბრძოლაა ურიცხვ გარეშე მტერთან, ყოველ ჯურის მოძალადესთან ქართველი ერის უმთავრესი ნაწილი ამ ბრძოლას უნდებოდა. ფიზიკური და სულიერი ძალა უმეტესად თავდაცვის საქმისთვის იხარჯებოდა. ნამდვილ კულტურულ მუშაობისთვის ცოტა ღა რჩებოდა. ამნაირმა ვითარებამ მართალია ერთის მხრით გამოკაჟა ჩვენი ეროვნული მე ობა, რომელიც დღემდის მოვიტანეთ მიუხედავად ათასგვარ გასაჭირისა, და გაუძელით ბევრს მრავალრიცხოვან ურდოს, რომელთაც არა ერთი ჩვენის უდიდესი ერი მოსპეს და გაანადგურეს სრულებით. მაგრამ მეორე მხრით ესევე იყო მიზეზი, რომ ჩვენმა ეროვნულმა შემოქმედებამ ვერ გაშალა ფრთები და ვერ გამოაცხადა მთელი თავისი სულიერი საგანძური.

ხოლო ასეთმა პირობებმა მაინც ვერ ჩაჰკლეს ქართველი ხალხის ბუნება და მისი გენია ბრწყინავდა, როგორც კი ცოტათი სულს მოითქვამდა და თავისუფლებას მოიპოვებდა. ჩვენი ისტორიული ნაშთები ამის მრავალ მაგალითს წარმოგვიდგენენ. ამ დღეებში პროფ. კეკელიძის წიგნში ვკითხულობთ სხვათა შორის, რომ ქრისტიანობის მიღების დღიდანვე საეკლესიო და სასულიერო წიგნები ითარგმნებოდა ბერძნულის, სირიულის, კოპტურის, სომხურის, არაბულის ენებიდან. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ძველები მარტო საეკლესიო საქმეებით ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი. აკად. მარრი ამბობს ერთს თავის გამოკვლევაში: „მეათე-მეთორმეტე საუკუნის ქართველებს ფილოსოფიის სფეროში აინტერესებდათ ყველა ის საკითხი, რომელიც მთელი მაშინდელი აღმოსავლეთის და დასავლეთის მოწინავე წრეების ყურადღებას იპყრობდა, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ქართველები ევროპიელებს ადრე გამოეხმაურებოდნენ ყოველს ახალს მოვლენას და მრავალმხრივად მომზადებულნი და შეიარაღებულნი იკვლევდნენ პირდაპირ ბერძნულ ორიგინალებს“. ძალაუნებურად შეადარებს ადამიანი ამ ამბავს ჩვენი ერის ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ჩვენი სამწერლო-სამეცნიერო მუშაობა ძალზე შესუსტდა და თუ ითარგმნებოდა რამე, მხოლოდ რუსულიდან და ისიც უბადრუკის ენით.

ბევრს გაუკვირდა, რომ საკუთარი ქართული უნივერსიტეტი დავაარსეთ და გვეუბნებოდნენ: როგორ გაუძლებთ მაგისთანა დიდს საქმესო. მაგრამ ამის მთქმელთ ავიწყდებოდათ, რომ ტფილისში ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში გვქონდა უმაღლესი სკოლა, სადაც ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, მედიცინას, აქ იყო საუცხოვოდ მოწყობილი ობსერვატორია. იმდენად მძლავრს კულტურულს საქმიანობას იჩენდნენ მაშინდელი ქართველები, რომ საქართველოს გარეთაც კი ჰქონდათ დაწესებული მაღალი საგანმანათლებო დაწესებულება. ასეთი იყო მაგალ. მაკედონიაში პეტრიპონში სემინარია, რომლის მსგავსი მეორე არ მოიპოვებოდა ბიზანტიაში და სადაც სწავლება ქართულად იყო...

ამ პატარა საგაზეთო წერილში სიტყვას არ გავაგრძელებ და სხვა მრავალ მაგალითს არ დავასახელებ. ხოლო ვიტყვი, რომ ამნაირ დიდს კულტურულს მუშაობას იჩენდენ ჩვენი წინაპრები სხვა უფრო გაჭირვებულ დროშიაც და მე-17—18 საუკუნიდაც ბევრი ძვირფასი სალიტერატურო განძი დაგვიტოვეს. უნდა გავიხსენოთ, რომ ქართულ ენაზე მოგვეპოვება ბევრი ისეთი თარგმანი სპარსულ-არაბულის ლიტერატურისა, რაიც არა აქვს ბევრს დღეს დაწინაურებულ ერს.

მაგრამ ქართული ნიჭი და შემოქმედება მარტო მწერლობაში ჩანდა?..

აქედან აუცილებლად უნდა დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა, დღეს აღდგენილი, უდიდესი სარბიელია ქართველი ერის ნიჭისა და გონებრივი ძალის სრული გამოაშკარავებისა და სრული განვითარებისათვის.

ხამ. ფირცხალავა.

სომხური პრესა

სოციალისტ-ფედერალისტების შესახებ.

„ჟოღოვურდი ძაინის“ მე-80 ნომერკამ -ის (ფსევდონომია: ძველი მეკობარი) წერილი სათაურით „საქართველოს პარლამენტის ცხოვრებიდან. ნაციონალისტი და „სოციალისტი“.

„ჰინ ბარეკამი“-ს წერილი შეეხება იმ სხდომას, რომელზედაც ირჩეოდა მიწათმოქმედების მინისტრის კანონპროექტი „გოგირდის აბანოებისა, სამკურნალო ტალახებისა და მსგავს გვარიელ რამეებ ს შესახებ“.

„ჰინ ბარეკამი“ ახასიათებს პარლამენტის სხვა და სხვა ფრაქციისა და მათი წარმომადგენლების დამოკიდებულებას მინისტრის კანონპროექტისადმი

უპირველესად ყოვლისა აღნიშნავს რომ სოც.-დემოკრატების ხელმძღვანელმა ფრაქციამ აღნიშნულ დღეს „კეთილინება აბანოების შენობის ჩამორთმევა არა უფასოდ არამედ სასყიდლის მიცემით“..

შემდეგ ესერების ორატორის შენგელაისა ბ დამ ნაც.-დემ.რეზო გაბაშვილის სიტყვებს ეხება და აღნიშნავს რომ ამ სიტყვებში, განსაკუთრებით შენგელაიას სიტყვაში, ნამეტანი ბევრი ისტორია და ნერონ-კალიგულებზე ლაპარაკი იყო რასაც ჰინ ბარეკამი დიდ საგონებელში ჩაუგდია თუ „რა კავშირია ორბელიანის აბანოებსა და იმპერატორ კალიგულას შორისო“.

მაგრამ ჰინ ბარეკამის ყურადღება ყველაზე უფრო სოც.-ფედ. ორატორს ღლონტს დაუმსახურებია.

„ეს ვაჟბატონიო, სწერს იგი, პირზე დორბლ-მორეული ეკვეთა სოც.-დემოკრატებს საყვედურით, რომ იმათ ბევრი „ნაკლი“ აქვთ... ვუსმენდი ამ დარბაისელს და პირდაპირ აღტაცებაში მოვყავდი მის სიტყვებს. აი, ვფიქრობდი მე, ერთი კარგი სოციალისტი. როგორის შეუბრალებლობით ააშკარავებს ის ჩვენი ორგული ესდეკების ნამდვილ ბუნებას.

„თქვენო, ამბობდა ბ. ღლონტი, უკვე ჩაიდინეთ ერთი სოციალისტური დანაშაული; არ მოახდინეთ ქალაქის მიწების კონფისკაცია, ეხლა მაინც აიღეთ უსასყიდლოდ აბანოები მათი შენობებითურთ, ეს მით უმეტეს, რომ ჩვენი ერი ასეთი უსასყიდლო ჩამორთმევით არაფერს იზარალებს“.

გასაგებია „ჩვენი“ (ხაზი ჰ. ბ.) ერი არ დაზარალდება ჩამორთმევით, ხოლო სხვებზე ზრუნვა—რა ქართველების ან კერძოდ „სოციალისტების“ საქმეა..

ბ. ღლონტის ნალაპარაკევზე შეჩერდა ბ. მაჩაბელი.

ეს პარლამენტის წევრი რომელიც უკიდურეს მემარჯვენეებს ეკუთვნის, მგონია, ბ. ღლონტის სიტყვებით აღელვებული გამოვიდა გულწრფელად გააშუქა საკითხის არსებითი მხარე და ზრდილობიანად გამოსთქვა თავისი დიდი განცვიფრება „ავტონომიური“ სიტყვის გამო.

ბ. მაჩაბლის შენიშვნა იმდენად რბილი იყო და თავდაჭერილი რომ, მგონი, ბ. მაჩაბელი სირცხვილსა გრძნობდა თავის თანამემულის მაგივრად რომელმაც კადნიერი პირდაპირობით საჯაროდ გამოიტანა თავისი ფარული და სასირცხო მისწრაფებანი. ბ. მაჩაბლის ესეთი მდგომარეობა ადვილი გასაგებია. ჩვენ ყოველთვის ბუნებრივ უხერხულობას ვგრძნობთ როცა საზოგადოებაში ვინმე დაიწყებს გაშიშვლებას.

... ბ. ღლონტმა განიზრახა პარლამენტში თავისი თავის სრული გაშიშვლება და...გაშიშვლდა კიდეც, ხოლო ბ. მაჩაბელმა ხელი მიჰყო მის წერთნას..

რა სიტყვები იყო აქ წარმოთქმული, ამბობს ბ. მაჩაბელი, რა იდეები იყო აქ განვითარებული? ჩვენი ერი არ დაზარალდება თუ ჩვენ უფასოდ ჩამოვართვით მამულებიო—მაშასადამე აბანოები რომ ქართველებს ეკუთვნოდეს, შესაძლებელია მათ პატრონებისათვის ფულის მიცემა?.. მაგრამ განა რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია ამნაირი საკითხის გადაჭრა იმისდა მიხედვით, თუ რა ეროვნებას ეკუთვნიან მამულების პატრონები? განა რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია გაარჩიოს ერთმანეთისგან თავისი ქვეშევრდომები? და ამას მოითხოვს „სოციალისტი“!..

ასე ლაპარაკობდა ბ. მაჩაბელი, ხოლო ბ. ღლონტი გაწითლებული უსმენდა მას.

და ვინც ისმენდა ამ ნაციონალისტისა და „სოციალისტის“ ბრძოლას, ყველასთვის ცხადი და გასაგები ხდებოდა თუ რა შეცდომა იქნებოდა რომელიმე ადამიანზე მისი პარტიული დროშის მიხედვით მსჯელობა, ბ. მაჩაბელს, როგორც უკიდურეს მემარჯვენეს და ბრწყინვალე ნაციონალ მამულიშვილს მიღებული ფრაზეოლოგიით რომელიმე მსუბუქ აზროვანი კრიტიკოსი უეჭველად „ზუბრების“ წრეში მიუჩენდა ადგილს, მაგრამ დახეთ რა ინტერნაციონალური მომთმენობა გამოიჩინა მან?

გთხოვთ მიბრძანოთ, ვინ არის ნამდვილი „ზუბრი“: ის პირი, რომელსაც მხურვალედ უყვარს თავისი მშობელი ერი, და იმავე დროს შეუძლიან უცხო ერთა უფლებების პატივისცემით მოპყრობა და მოითხოვს ყველა მოქალაქეებისადმი თანასწორ სამართლიან მოპყრობას, თუ ის, ვინც უხეშად და უნიჭოდ სოციალისტურ სამოსელში გამოხვეულა და ამ საშუალებით ჰფარავს ზუბრულ მისწრაფებებს და ცდილობს შოვინისტურ ინსტინქტების ამოძრავებით უსამართლო კანონი გაატაროს? ..

მადლობას ვწირავთ სოც.-ფედერალისტებს, რომ მათ ბოლოს და ბოლოს ჩამოიხსნეს ნიღაბი და ამ ნიღაბის ქვეშიდან გამოაბრწყინეს თავისი „თეთრი კბილი და შავი გული“ დეე მოგვიტეოს ბ. გომართელმა რომ მისი სიტყვებით ვსარგებლობთ სოც.-ფედერალისტების ნამდვილ ბუნების დასახასიათებლად..

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-ამერიკის მისია ე. პ. გეგეჭკორთან.

დეკემბრის 12-ს ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა ინგლის-ამერიკის მისია რომელშიაც შედის 12 წევრი. მისიის წარმომადგენელნი დაესწრნენ სახალხო გვარდიის სადღესასწაულო პარადს, და პარადის გათავების შემდეგ სადარბაზოდ ეწვივნენ საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს.

მისიის წევრებმა გეგეჭკორთან საუბრის დროს გამოსთქვეს თავიანთი აღტაცება იმ წესიერების გამო, მთელს საქართველოში რომ არსებობს. განსაკუთრებით აღფრთოვანებულნი იყვნენ ტფილისში გადახდილ გვარდიის დღესასწაულითა და გვარდიის ბრწყინვალე წესიერებით.

მათ აღნიშნეს, რომ პარადზე მიღებულ შთაბეჭდილების გამო თავი სიზმარში გვგონია ამ საქვეყნო არევ-დარევასა და უწესოების დროსაო.

მისიის წევრებმა გამოსთქვეს რწმენა, რომ მათი მოხსენება საქართველოს რესპუბლიკისა და მთავრობის შესახებ, აუცილებელ სიმპატიასა ჰპოებს დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ აზრში.

ამასთანავე ერთად, მათ შუამდგომლობა იკისრეს პრეზიდენტ ვილსონისადმი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სურვილების გადასაცემად.

გერმანელთა უკანასკნელი ეშელონი.

ცუგმაიერის განცხადებით გუშინ ფოთს მოელოდნენ გერმანელთა გემს „გენერალს“ რომლითაც სამშობლოში წავა საქართველოში მყოფ გერმანელ ჯარების უკანასკნელი ეშელონი.

შეტაკება კასპის ზღვაზე

ინგლისელები ოფიციალურად იტყობინებიან, რომ დეკემბრის 8-ს შეიარაღებული გემები „ალავერდს“ და „ზოროასტრს“ კასპიის ზღვის ჩრდილოეთით შეჰხვდა მტრის სამი გემი და მოუხდა შეტაკება. მტრის გემები გაიქცნენ. მათ გამოედევნა ინგლისელთა რამოდენიმე გემი. „ზოროასტრი“ უმნიშვნელოდ დაზიანდა.

საქართველოს პარლამენტი

(პარასკევი, დეკემბრის 13).

კრება იხსნება **ნ. ჩხეიძის** თავმჯდომარეობით 1 ს. 30 წ.

მდივანი ი. აბაკელია ჰკითხულობს კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტთა სიას და დღის წესრიგს.

შ. ამირეჯიბის (სარედაქციო კომ. წევრია) მოხსენებით მიღებულია საბოლოო ტექსტი ძვირფასი კულტურის მამულებში პროდუქტების რეკვიზიციის კანონისა.

10 მილიონის ფონდი.

ი. ლორთქიფანიძე (საფინანსო კომ. წევრი) ჰკითხულობს კანონ-პროექტს 10 მილ. მან. ფონდის განაწილების დამტკიცებისა და ამ ფონდის აღდგენის შესახებ. კანონ-პროექტით 10 მილ. ფონდიდან, რომელიც გადადებული იყო მთავრობის განკარგულებაში და რომელიც შევსებულ იქმნა ამა 1918 წლის ოქტომბრის 11-ს, კანონის ძალით, უნდა დამტკიცებულ იქმნეს 9.352,823 მანეთისა და 22 კაპეიკის განაწილება კრედიტებად უწყებათა შორის მთავრობის მიერ აგვისტოს 3-დან ნოემბრის 23-მდე. უნდა აღდგენილ იქმნას თავისუფალ თანხიდან ათი მილ. ფონდი. უკვე განაწილებულ ზემოხსენებულ თანხის გადადებით. კანონი ძალაში შედის პარლამენტის მიერ მიღების დღიდან. მომხსენებელი ამასთანავე დასძენს, რომ 10 მილ. ფონდი იხმარებოდეს საჩქარო საქმეებისათვის. აქამდე ამ ფონდს ხმარობდნენ ისეთ საქმეებზე, რომელიც სრულებით არ იყო საშური და რომელთათვისაც სხვა გზით შეიძლებოდა თანხის გაღება. მაგ., 10 მილ. ფონდიდან იქმნა გაღებული თანხა სააქციზო უწყების მოხელეთა ლიკვიდაციისათვის.

რ. გაბაშვილი (დამ. ნ.-დ.) მოითხოვს, რომ კანონ-პროექტის განხილვა სხვა დროისთვის გადაიდვას; აქ დარღვეულია ფორმალური მხარე: რეგლამენტის ძლით ყოველი კანონ-პროექტი სამი დღის წინ უნდა დაეგზავნოს ფრაქციებს განსახილველად. დღევანდელი კანონ-პროექტი კი დაურიდგეს პარლამენტის წევრებს დღის წესრიგის წაკითხვის შემდეგ. ამას გარდა კანონ-პროექტში ათასი ციფრებია, რომელსაც პარლამენტი არ იცნობს და რამდენიმე მათგანი უკანონოდაც არის დასაჯული, ამისათვის საჭიროა დრო, რომ კანონპროექტი განხილულ იქნეს წინასწარ ფრაქციებში.

ფინანსთა მინისტრი **გ. ჟურული** მთავრობის სახელით ითხოვს, რომ კანონ-პროექტი დღესვე იქნეს განხილული

მომხსენებ ლი **ი. ლორთქიფანიძე** ჰკითხულობს კანონ-პროექტს მუხლობრივად.

გრ. ვეშაპელი (დამ. ნ.-დ.) მოითხოვს, კანონს დაემატოს მუხლი, რომლის ძალით განაწილება კრედიტებისა უნდა ხდებოდეს სახელმწიფო კანტროლიორის დასკვნით. ორატორი იმის წინააღმდეგიც არის, რომ ფონდიდან იდებოდეს თანხა პარლამენტის წევრთათვის, რომელნიც მთავრობის დავალებით ადმინისტრატორებად იგზავნებიან სადმე: მაგ., გაღებულია თანხა ანდრონიკაშვილისათვის, რომელიც სოჭის ოლქში იქმნა გაგზავნილი.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.** ვეშაპელის წინადადება ყოვლად მიუღებელია. თუ მივიღებთ იმას, რომ ყოველ კერძო შემთხვევაში სახელმწიფო კანტროლი იძლეოდეს თავის დასკვნას, მაშინ უნდა ავრიოთ მთელი სახელმწიფოს მექანიზმი. რაც შეეხება პარლამენტის წევრთა გაგზავნას ადმინისტრატორებად, უნდა მოგახსენოთ, რომ ანდრონიკაშვილი გაიგზავნა სოჭის ოლქში არა ადმინისტრატორად, არამედ მთავრობის წარმომადგენლად და განსაკუთრებულის უფლებებით არის აღჭურვილი. რადგან საჭირო იყო სწორედ ისეთი პირის გაგზავნა, რომელიც ხალხის ნდობითაც იქნებოდა აღჭურვილი.

ვეშაპელის წინადადება უარყოფილია და კანონ-პროექტი მიღებულია უცვლელად.

(შემდეგი იქნება)

გერმანული პრესის ცნობები.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

ესპანიის გაზეთის აზრი.

„ტრიბუნა“ სწერს: „შეთანხმების სახელმწიფოთა ზავი ხიშნავს საფრანგეთის შოვინიზმის, ინგლისის ნაცანიზმს (ზღვაზე გაბატონება) და ამერიკის იმპერიალიზმის ზეიმს ესენი სამართლიანობის და კაცთმოყვარეობის დაცვის სახელით ანხორციელებენ უსამართლობას და აბსოლიუტიზმს.

გერმანიაში.

სემნიცში მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების არჩევნებზე სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიის წევრმა მიიღო 78,500 ხმა, დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის წევრმა 17,000 ხმა. ამის გამო „ფორვერტსი“ სწერს: მუშებმა და მოსამსახურეებმა დიდის უმრავლესობით მხარი დაუჭირეს ძველ პარტიას. ამის გარდა სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიამ მიიღო დრეზდენში 117,566 ხმა და დამოუკიდებლებმა მხოლოდ 8,440 ხმა.

დროებითი ზავი.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ისე გამწვავდა დროებითი ზავის საკითხი თუმცა ინგლისის წარმომადგენელმა სპააში უარი სთქვა ჯავშნოსან კრეისერის „მაკენზენის“ დაბრუნებაზე და თუმცა გერმანულ ცნობით ამ ჯავშნიან კრეისერის შეკეთებას 4 თვე მაინც მოუნდება, ინგლისის ადმირალმა ამ კრეისერის დეკემბრის დასასრულამდე ჩაბარების შეუსრულებლობა ჩასთვალა დროებითი ზავის პირობების დარღვევად და განაცხადა, რომ ამის შესახებ მოხსენებას წარუდგენს მთავრობას.

ინგლისური პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ლოიდ ჯორჯი და მუდმივი ჯარი

ბრისტოლში ლოიდ ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის განაცხადა რომ იძულებით ჯარში გაწვევა შემოღებული იყო კრიტიკულ მდგომარეობის გამო. საზავო კონფერენციამ უნდა მოითხოვოს, რომ გაუქმდეს იძულებით ჯარში გაწვევა და ამგვარად აცილებულ იქნას მომავალში ომის საშინელება და უზრუნველყოფილი ჰყოს ზავი დიდი ხნით.

რუსეთის მთავრობა

სტოკჰოლმის გაზეთი „დაგენს ნიეტენი“ იუწყება რომ სტოკჰოლმში მოლაპარაკება სწარმოებს რუსეთის ახალ მთავრობის შესადგენად, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს რუსეთის მართვას ბოლშევიკების დამხობისთანავე.

კიელში მოვიდა ინგლისის 42.000 ჯარის კაცი.

ულტიმატუმი

ბერლინიდან მოსული ცნობით, შეთანხმების სახელმწიფონი აპირებენ წარუდგინონ გერმანიის მთავრობას ულტიმატუმი, მოითხოვენ ყველა საბჭოების გაუქმებას. იმავე დროს შეაჩერონ სურსათის და მასალის შეზიდვა და დაიტოვონ გერმანიაში წინსვლის უფლება.

მოსკოვის ცნობები.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი. დეკ. 12. პეტლიურას ჯარმა ქალაქი ნიკოლაევი დაიჭირა.

მოსკოვი. დეკემ. 12. (გაგრძელება)

ქარნავონი. დეკ. 11, ვილსონი, ევროპაში წასვლამდე, ინახულა ციმბირის მთავრობის ორმა წარმომადგენელმა.

ნაუენი. დეკ. 12, ქვა-ნახშირის უქონლობის გამო კვირას შვეიცარიის ყველა რკინის გზაზე მოძრაობა შესწყდა.

ახალი ამბავი

◆ **განათლების მინისტრი.** სახალხო განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი გუშინ ქუთაისს გაემგზავრა.

◆ **მასწავლებლების დეპეშა.** მთავრობის თავმჯდომარეს, განათლების მი-

ნისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ტფილისის ქართველ გაზეთების რედაქტორებს ხობის სასწავლებელთა ფილიალურ განყოფილების თავმჯდომარის ქობულიასაგან დეპეშები მოუვიდათ სადაც მასწავლებლები აღნიშნავენ თავიანთ გაჭირვებას და გასული თვეების ჯამაგირებით დაკმაყოფილებას მოითხოვენ.

სოჭისა და სოხუმის ოლქებში, რადგან ბოლო ხანებში სოჭისა და სოხუმის ოლქებში მრავლად გაჩნდნენ საეჭვო პირნი, რომელნიც სიტყვიერსა და პროკლამაციების საშუალებით პროპაგანდას ეწევიან და ხალხს აღელვებენ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, სასოფლო კომისიამ გაგზავნა ამ რაიონებში თავისი პროპაგანდისტები მავნე ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქონელი ბათომში. მიღებულ ცნობების თანახმად ბათომში სტამბოლიდან და ოდესიდან მრავალი საქონელი შემოუზიდნიათ ბაზარზე გასაყიდად

საეთნოგრაფიო საზ. კრება. დღეს, დილის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება. კრებაზე პ. ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას და შემდეგ განხილულ საზოგადოების მოქმედების ანგარიში. ხარჯთ-აღრიცხვა და მოხდება ახალი წევრების არჩევა. კრებაზე დასწრება არა წევრთაც შეუძლიანთ.

სააქციონერო საზოგადოება. კვირას, 15 დეკემბერს ქ. ჭიათურაში დანიშნულია ახლად დაარსებულ შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების კრება. კრებაზე არჩეულ იქმნება გამგეობა და საზოგადოება შეუდგება მოქმედებას.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“. დღეს, დემ. კლ. არს. ქარ, სახ. წარ. მართველი წრე მართავს მორიგ წარმოდგენას მსახიობ პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება „და-ძმა“ დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი. ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

ლექცია გ. ნათაძისა და ლ. შენგელიასი შესდგება დღეს ავლაბარში, მე-6 ქალთა გიმნაზიის შენობაში.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებაში. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა: 1) დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან გერგეთის სკოლის მასწავლებელი ისიდორე ტატიშვილი ენკენისთვის 1 ს თავის თანამდებობის მოვალეობის აუსრულებლობის გამო. 2) მიეცეს დახმარებად 100 მანეთის წიგნები საპიროთა ბათალიონში დაარსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს, თანახმად ხსენებული ბათალიონის უფროსის პოლ. ვახვახიშვილის თხოვნისა. 3) მიეცეს ერთდროულ დახმარებად სასტიპენდიო ნაშთებიდან 800 მანეთი ტფილისის კონსერვატორიაში მოსწავლეს თამარ წერეთლის ასულს. 4) აღდგენილ იქმნას სწავლა ბათომის ქართულ სკოლაში და წინადადება მიეცეს ხსენებული სკოლის გამგეს ალ. მგელაძეს შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას. 5) საზოგადოების რწმუნებულთა არა ჩვეულებრივი კრება დაინიშნოს მომავალი წლის იანვრის 19 (ძვ. სტილით) საზოგადოების მოქმედების დაწვრილებითი გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

საქართველოს მოხელეთა კავშირის საბჭო აუწყებს თავის წევრებს, რომ ყოველ კვირეული სხდომა მოხდება სამშაბათობით სამხედრო კავშირისთვის და ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

სალიტერატურო საღამო. ტფილისის რეალურ სასწავლებლის ქართველ მოწაფეთა ორგანიზაციის სალიტერატურო წრის სასარგებლოდ განზრახული საღამო დეკემბრის 14 ნაცვლად გაიმართება შაბათს დეკემბრის 21.

ტფილ. კომიტ. სხდომა. ორშაბათს დეკემბრის 16, საღამოს, 7 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია ტფილისის კომიტეტის სხდომა. წევრებს ვსთხოვთ არ დაიგვიანონ.

საფინანსო კომისიის სხდომა. ორშაბათს, საღამოს 5 საათზე პარტიის მთავარ კლუბში დანიშნულია საქართ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტ. ტფილ. კომიტეტის საფინანსო კომისიის კრება. წევრებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

საეკონომიო საზოგადოების წევრთა კრება. დეკემბრის 15 დილის 11 საათზე ფინანსთა სამინისტროს შენობაში, გოლოვინის პროსპ. № 22, დანიშნულია საქართველოს პარლამენტის და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების საეკონომიო საზოგადოების წევრთა საერთო კრება, განსახილველი საგნები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) წესდების შეცვლა, 4) 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და 5) მიმდინარე საკითხები. კრებაზე შესვლისას საჭიროა საწევრო წიგნაკის წარდგენა.

† სახალხო მასწავლებელი ალექსანდრე თომას ძე მაკარაძე 1858—1917 წ.

სალამი გვარდიას. ლაგოდეხის და მის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთა საერთო სადღესასწაულო კრებამ მოისმინა მოხსენებები სახალხო გვარდიის ენერგიული და თავგანწირული ბრძოლის შესახებ რევოლიუციის განსამტკიცებლად, მის მონაპოვართა შესანარჩუნებლად საქართველოში და მიილო მხედველობაში ის დაუვიწყარი სამსახური, რომელიც გვარდიამ გაუწია ნორჩი რესპუბლიკის მცხოვრებთ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაშიაც. კრება გულწრფელ და მხურვალე სალამს გიძღვნით რევოლიუციის საუკეთესო დამცველ მეგობარო გიცხადებთ სრულ ნდობას და ძმურად გიკოცნით ტუჩებს თავგანწირულ და გულწრფელ სამსახურისათვის. სადღესასწაულო კომისია მდივანი გერონტი ჩიკვაიძე.

საოჯახო საღამო. კვირას, დეკემბრის 15 საღამოს 6 საათზე საქართველოს სოც.-ფედ. სარევ. პარტ. მთავარ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) გაიმართება ოჯახური საღამო შემდეგი შინაარსისა. 1. ლექცია აკაკი ფაღავასი. 2. ლექსებს წაიკითხავენ ახალგაზდა პოეტები: გრიშაშვილი, ფაშალიშვილი, მჭედლიშვილი, ცქვიტი, მარიჯანი, და სხ. 3. მომღერალთა გუნდი. გ. კაპანაძის ლოტბარობით. საღამოზე დასწრება შეუძლიათ არა წევრთაც. შესასვლელი ფასი მოწაფეთათვის 1 მ. დანარჩენებისათვის 2 მ.

კრება ავლაბარში. დღეს, 11 საათზე, ავლაბარში, წმ. მარინეს ეკლესიის შენობაში დანიშნულია საზოგადო კრება ქ. შ. წ. კ. გ. ს. ავლაბრის ბიბლიოთეკის წევრთა.

რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების გამგეობის სხდომა დანიშნულია დღეს, შუადღის თორმეტ საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში. წევრებს ევალებათ აუცილებლად დასწრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

ქართული ლატარია. ლატარიის მთავარი გამგეობა, ამით მოუწოდებს იმ პირთ, ვინც თავს იდვეს ბილეთების გავრცელება, რომ ყოველივე ანგარიშის ჩაბარება უნდა მოხდეს ამა წლის დეკემბრის ოცამდე.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

შეერთებული სხდომა.

დღეს დეკემ. 15-ს საღ. 8 საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში მოხდება შეერთებული სხდომა მთავარი კომიტეტისა ტფილისის საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტების, მუშათა კავშირის გამგეობის და სამხედრო საბჭოსი. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები, აღნიშნულ ორგანოების წევრთ ევალებათ უეჭველად დაესწრენ სხდომას.

—

მთავარი კომიტეტის სხდომა.

შეერთებულ კრებამდე, საღამოს 7 ს. დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება „სახ. საქ“. რედაქციაში.

—

დღეს, დეკემბრის 15 დანიშნულია საგუბერნიო კომიტეტის კრება. დასაწყისი დილის 11 საათზე.

—

კვირას, დეკემბრის 15 დანიშნულია საგუბერნიო კომიტეტის კრება. დასაწყისდილის 11 საათზე.

—

დღეს, საღამოს ექვსის ნახევარზე პარტიულ მთავარ კლუბში დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრთა კრება.

საქართველოს ნოტა

დეკემბრის 13 ს საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ტფილისში მყოფ სომეხთა დიპლომატიურ წარმომადგენელს ჯამალიანს შემდეგი ნოტა გაუგზავნა:

სამხედრო მინისტრის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად სანაინთან საქართველოს ჯარის ნაწილების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაში, მონაწილეობას იღებენ სომხის ჯარები. რასაც სრული ორგანიზაციული ხასიათი აქვს. სანაინთან ყველა პუნქტებში მოწყობილია სამხედრო შტაბები, რომელსაც ჰმეთაურობენ სომხეთის რესპუბლიკის სამსახურში მყოფი შტაბისა და ობერ-ოფიცრები. რადგან ერთის წუთითაც დასაჯერი არ არის, რომ ყველა ეს სომხის მთავრობის ბრძანებით ხდებოდეს, საბედისწერო შედეგების თავიდან ასაცდენად, რომელსაც შეუძლიან სამწუხარო ინციდენტის ჩამოგდება; გთხოვთ მიჰმართოთ თქვენს მთავრობას, რათა მან სასწრაფო ზომები მიიღოს და გავლენა იქონიოს ჯარის ნაწილებსა და იმ უპასუხისმგებლო პირებზე, რომელნიც ორივე რესპუბლიკის შორის არღვევენ მეგობრულ განწყობილებას.

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი**, კანცელარიის დირექტორი **ლორთქიფანიძე**.

ნამდვილი

ჩემი პატარა დისწულის ანგარიშის რვეული გადავშალე და შემდეგი წავიკითხე: 20 პუდი კაპუსტა იყიდა: ხაზეინმა, 10 პუდის ზაკვასი გააკეთა და რამდენი პუდი დარჩა?

— საიდან გადასწერე, გოგო, ესა?

— მასწავლებელმა თვითონ დაგვაწერინა, მითხრა მან.

— ვინ არის თქვენი მასწავლებელი.

— ელიზავეტა ზაალოვნა.

მკითხველი კარგა გაიგებს, რა მასწავლებლებიც ჰყოლია ჩვენს გიმნაზიებს-

ი. შ.

გვარდიის დღესასწაული და ჩვენი რაზმი.

გვარდიის დღესასწაული ტფილისში დიდის ზეიმით ჩატარდა. მშვენიერი დარი იდგა და ქუჩებში ტევა აღარ იყო გამოფენილ ხალხისა. საუცხოვო სურათს წარმოადგენდა განსაკუთრებით პარადი. პირველად გამოვიდა რეგულიარული ჯარი და ჩამწკრივდა სამხედრო საკრებულოსა და საკომენდანტოს წინ. მოვიდნენ პროფესიონალური კავშირები მრავალის დროშებით, რომელთაც დაიჭირეს სამხედრო მუზეუმის წინა ადგილი და არამიანცის სახლის ეზო, შემდეგ მათ მოჰყვა გვარდიის ნაწილები: ქვეითი, ცხენოსანი, ტყვიის მფრქვეველი ნაწილები, არტილერია, ჯავშნოსანი ავტომობილი და მოტოციკლეტები. ჯარები ეწყობოდა და თავიანთ ადგილებს იჭერდა, როდესაც შუა ქუჩაზე მწყობრის სიმღერით გამოჩნდა სოც.-ფედერალისტების ტფილისის რაზმის ასეულები ეროვნულისა და პარტიულის დროშებით. მათ დაიჭირეს ყოფილ კადეტთა კორპუსის გასწვრივი ადგილი სასტუმრო „ბელვიუ“სთან რაზმს გვერდით უდგა ამხ. გიგო რცხილაძე, არ. ჯაჯანაშვილი, ს. დადიანი ის. სტურუა და სხ. ამის შემდეგ დალაგდა ჯარები, რომელთაც ეკავათ სასახლიდან დაწყებული მთელი გოლოვინის პროსპექტის შუა გული ოლღას ქუჩის ბოლომდე. ტროტუარები გაჭედილი იყო ხალხით, დაბ-

ინგლისის პოლიტიკა და საქართველო

2 *)

ინგლისი მეტოქედ სთვლიდა რუსეთს შორეულ აღმოსავლეთშიაც. მას შემდეგ, რაც ინგლისმა მთლად ინდოეთი ხელთ იგდო—მისი საზრუნავი ის გახდა, რუსეთი არ გაძლიერებულიყო და რამენაირად მისი საზღვრები ინდოეთს არ მიახლოებოდა. და როდესაც ჩინეთ-იაპონიის ომის დროს აღმოჩნდა, რომ ამომავალ მზის ქვეყანას (იაპონიას) სრულიად ვერაფერს წინააღმდეგობას უწევს ვეებერთელა, მაგრამ უორგანიზაციო ჩინეთი—ყველამ შორეულ აღმოსავლეთს მიაპყრო თვალები. ევროპის ყველა სახელმწიფოს იმპერიალისტებმა გადასწყვიტეს, რომ ჩინეთი შორეულ აღმოსავლეთის „ავადმყოფი ადამიანია“ და საჭიროა დროით ზრუნვა მის მემკვიდრეობის გასანაწილებლად. 1894 წელს მოხდა ნაწილობრივი გაყოფა ჩინეთისა.

ჯერ გერმანიამ დაიჭირა პორტი კიაჩაო, შემდეგ შანდუნის ნაწილი, ვითომდა იჯარით (99 წლის ვადით). ამის შემდეგ რუსეთმაც „იჯარით აიღო“ კვანტუნის მხარე პორტ-არტურითურთ. ორი კვირის შემდეგ ასევე „იჯარით“ იღებს ინგლისი პორტ-არტურის პირდაპირ მდებარე პორტს ვეიხაი-ვეის. თვრამეტ დღეს მეორე საფრანგეთმა კვანჩუვანის ნავთსადგური დაისაკუთრა. ყველაფერი ეს მოხდა 1897—8 წელს. შორეული „ავადმყოფი ადამიანი“ ევროპის სახელმწიფოთა ქიშპობის საგნად გადაიქცა.

ამ ქიშპობის შედეგი იყო რუსეთ-იაპონიის ომი, რომლის დროსაც ინგლისის მთელი სიმპატია და ყოველგვარი თანაგრძნობა იაპონიისკენ გადიხარა. რუსეთმა იგემა სიმწარე ლიაოიანის, მუკდენის და ცუსიმისა. იმ სიხარულს, იაპონელები რომ განიცდიდნენ ამ გამარჯვების გამო—ინგლისზე მეტად არავინ იზიარებდა.

ერთი სიტყვით, რუსეთის გაძლიერება განსაკუთრებით აზიაში ინგლისს ყოველთვის თავის საფრთხედ მიაჩნდა. ამასვე მოწმობს, სხვათა შორის ბელუჯისტანის და ავღანისტანის ბედი.

განსაკუთრებით საინტერესოა ავღანისტანის ისტორია. ავღანისტანი სპარსეთს აკრავს და ინდოეთს ჩრდილო-დასავლეთით ჰსაზღვრავს. იგი ჯერ არაბების ხელში იყო, ხოლო 1747 წელს აჰმედ-შაჰმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აქცია. ავღანისტანზე თავიდანვე თვალი ეჭირა რუსეთსაც, ინგლისსაც. უკანასკნელი სცდილობდა რუსეთისათვის დაესწრო და თვითონ დაეპყრო ეს სახელმწიფო. ამ მიზნით იგი ხანგრძლივ ომსაც აწარმოებდა ავღანელებთან (1834—42 წ.), მაგრამ ამ ხალხმა თავისუფლება მედგრად დაიცვა და ახალი სტუმრები ძალით გამოისტუმრა თავის მიწა წყლიდან. რუსეთთან შეთანხმებით 1873 წელს ავღანისტანს ჩამოაჭრეს ის ნაწილი, ინდოეთს რომ ეკვროდა, ეგრედ წოდებული „მეცნიერული საზღვარი“ შეჰქმნეს, როგორც იტყოდა დიზრაელი. ხოლო 1879 წელს ავღანისტანის მმართველი იაკუბხანი რუსეთთან ურთიერთობისათვის ინგლისელებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და თავის მონა-მორჩილი აბდულ-რაჰმანი დასვეს. მას შემდეგ ავღანისტანი ფაქტიურად ინგლისს ეკუთვნის.

საინტერესოა აგრეთვე ინგლის-რუსეთის ბრძოლა სპარსეთისათვის. რუსეთის ყოველთვის ჰქონდა სურვილი სპარსეთის დამორჩილებისა და აქედან ინდოეთის საფრთხედ ქცევისა, ბევრჯელ სცადა მისი „დამშვიდება“, ჯარის შეყვანაც მოინდომა, რათა არეულობისაგან“ შეწუხებული სპარსელები ეხსნა გაჭირვებისაგან, მაგრამ ყოველთვის ინგლისი ეღობებოდა წინ. ბოლოს მოხდა შეთანხმება და 1907 წლას ხელშეკრულებით სპარსეთი „გავლენის“ ორ სფეროდ გაიყვეს: ჩრდილოეთი რუსეთს დარჩა, სამხრეთი ინგლისს. ამას არ სჯერდებოდნენ რუსის იმპერიალისტები და 1911 წელს რომ არეულობა იყო სპარსეთში—მოინდომეს ხელის მოთმობა. რუსის ჯარი შევიდა სპარსეთში და თითქმის ყველაფრის ბატონ-პატრონად იქცა: მეამბოხეებს ამარცხებდა, ხალხს „ამშვიდებდა“.

ინგლისში ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და გაზეთები კომპანიას ეწოდნენ რუსეთის წინააღმდეგ, ამერიკის სპარსელ აგენტის მორგან შუსტერის ღვარძლიანი წერილები და ინტერვიუ იმ ხანად „ტაიმსში“ ხშირი იყო. ქვედა და ზედა პალატაში რამდენიმეჯერ შეკითხვაც შეიტანეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეკითხვა ლორდის კერზონისა, რომელსაც ედ. გრეიმ უპასუხა. ამ პასუხში ნათლად სჩანდა, რომ ფრთხილი და ჭკვიანი გრეი არავის მისცემდა ნებას ინგლისის ტრადიციული პოლიტიკა შეელახნათ ეს პოლიტიკა კი ყოველთვის რუსეთის საწინააღმდეგო იყო.

ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ თავის დროზე მათ, ვინც ეხლა ხმა მაღლა გაჰყვირის, „რუსეთს აღადგენენ“ და მცირე ერებს მის სამსხვერპლოზე მიიტანენ. თვით ომის დასაწყისში, როდესაც ინგლისი ბრძოლაში ჩაერია და ამის გამო ედ. გრეიმ საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა—„ნოვოე ვრემია“ და კადეტების „რეჩი“ ძლიერ უკმაყოფილონი იყვნენ და სევდიანად აღნიშნავდნენ—გრეიმ რუსეთი ერთხელაც არაფერში მოიხსენიაო. აგრეთვე ყურადსაღებია მრავალი წერილი ინგლისურ პრესაში, სადაც პირდაპირ აღიარებდნენ—ჩვენ არავის გავაძლიერებთ, როგორც უნდა გათავდეს ეს ომიო. მაგალითად, პუბლიცისტი ქალ. ბელლოკი ამბობდა! ამ ომს შეიძლება მოჰყვეს გაძლიერება რუსეთისა და საამისო ზომებისათვის უნდა ვიფიქროთო.

„საამისო ზომები“ ინგლისს თვით განგებამ მოუტანა რუსეთის დამარცხების და ბოლშევიზმის სახით და ეხლა სანა საფიქრებელია, რომ თავისი ისტორიული მტერი ფეხზე წამოაყენოს, გაფრთხე შეჰქმნას და მომავალ ომებისათვისათვის ნიადაგი მოამზადოს?

მაშ რით აიხსნება ის რაც პირველ ფელეტონში აღვნიშნეთ, რას აპირობს ინგლისი, როდესაც რუსეთში მოდის? ძნელია, რასაკვირველია დაბეჯითებით რისამე თქმა. მაგრამ ჩვენ გვგონია პოლიტიკური ინტერესი ინგლისისა იგივე რჩება, რაც აქამდე იყო. **ეს ინტერესი კი რუსეთის ძლიერების საწინააღმდეგოა.**

ვინ იცის, როდესაც „რუსეთის აღდგენაზე“ ლაპარაკობენ. შეიძლება სპარსეთისამებრ მის დანაწილებას ჰგულისხმობენ გავლენის სფეროებად? ძველი და გამოცდილი დიპლომატის თქმა ხომ არ მართლდება აქ: ენა მისთვის აქვს ადამიანს, რომ თავისი აზრები დაჰბადოსო...

მაგრამ ინგლისს და განსაკუთრებით საფრანგეთს აქვს ინტერესი, რაიც აიძულებს რუსეთი მთლად უპატრონოდ არ მიატოვოს. ეს არის ინტერესი წმინდა ფინანსიური, მოკავშირეებს მრავალი მილიარდი აქვთ ჩაყრილი რუსეთში და ისინი უეჭველად შეეცდებიან მის ანაზღაურებას. ზოგიერთთა გამოანგარიშებით რუსეთს ედება მოკავშირეების ვალად—სამოც მილიონამდე. ეს დიდი ფულია და თუ რუსეთში, დღევანდელი ანარქია დამკვიდრდა დიდი ხნით, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნება ვალის განაღდება. მოკავშირეთა ინტერესია უფლებრივ სახელმწიფოდ იქცეს რუსეთი. ისინი ამ მიზნით შეეცდებიან ბოლშევიკების დამარცხებას. მაგრამ განა უფლების ან დენიკინის რუსეთი კი მალე გადიხდის ზემოხსენებულ ვალს? ამიტომ იყო, რომ რუსეთის რევოლიუციას და განსაკუთრებით ნიკოლოოზის ჩამოგდებას ინგლისში ძლიერ ცივად შეხვდნენ. მათ იგრძნეს, რომ ეკარგებოდათ, არა მარტო თანამებრძოლი სახელმწიფო, არამედ მოვალე სახელმწიფოც. „ტაიმსში“ პირველ ხანად რუსეთის რევოლიუციისადმი ზიზღით აღსავსე კორესპონდენციები იბეჭდებოდა.

დიდი ხანი სჭირია ყოველ შემთხვევაში რუსეთის მეურნეობის, მრეწველობის წელში გასწორებას და უეჭველია მოკავშირეები თვითონ აიღებენ ხელთ იმ სიმდიდრეს, რომლის მოხმარებაც და სარგებლობის გამოღებაც თვით რუსეთს აღარ შეუძლიან. რანაირიც უნდა იყოს მომავალი რუსეთი, იგი ფაქტიურად კოლონია იქნება გამარჯვებულთა. აქამდე ასეთი გამარჯვებული გერმანია იყო და ბრესტ-ლიტოვსკი ვიხილეთ. ეხლა ამ მოვლენას სხვა სახელს, უფრო კეთილშობილს და ლამაზს გამოუნახავენ, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება: მოკავშირეთა ვალის გასასტუმრებლად რუსეთს დიდი მსხვერპლი დასჭირდება...

მაგრამ განა მოითხოვს ფინანსიური ინტერესი მოკავშირეებისა რუსეთში ის ერთეულებიც დაამსხვრიონ, განთავისუფლებულ ერებს რომ შეუქმნიათ და სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებულან? კერძოდ საქართველოს ამ მხრით საფრთხე არ უნდა მოელოდეს, რადგან იგი უკვე ნამდვილი უფლებრივი სახელმწიფოა და მისი დანგრევა მოკავშირეებისათვის არავითარ შემთხვევაში ხელსაყრელი არ უნდა იყოს. შესაძლებელია ვალის დანაწილებაზე ჩამოვარდეს ლაპარაკი, მაგრამ ამას „მთლიან, განუყოფელ რუსეთის იმპერიასთან“ ნაკლები კავშირი აქვს...

ჩვენ გავათავეთ: მოკავშირეების და განსაკუთრებით ინგლისის პოლიტიკურ-სტრატეგიული ინტერესი არ მოითხოვს რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენას. ფინანსიური ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს სხვა გზითაც და არა ისეთით, რომელზედაც ჩვენი რესპუბლიკის მტრები ყოველ ჟამს ნატრულობენ ჩუმის ნატვრით. ამიტომ საქართველო გულ-დამშვიდებით შეჰყურებს მომავალს და ამაყად შეუძლიან გაიმეოროს: მისი „არც ეშინიან, არც რცხვენიან“...

ქ. რაჭველიშვილი.

*) იხ. „სახ. ს.“ 404 №.

ლა-დაბლა დაფრინავდა ჰაეროპლანი და დასრიალებდნენ მორთული ავტომობილები. დრო გამოშვებით ისმოდა მუსიკის გუგუნი და სიმღერები. სრული წესიერება დამყარდა ქუჩაში და ხალხი სულგანაბული ელოდა პარადის გახსნას.

პირველის ნახევარ საათზე გამოვიდა სასახლიდან მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, მას ხალხი ტაშით შეეგება, ჟორდანია მიესალმა ჯარებს რომელიც „გაუმარჯოს“ ძახილითა ჰხვდებოდნენ. მან ჩამოუარა ქუჩას სამხედრო მინისტრის, გენერლების, ვ. ჯუღელისა და გვარდიის შტაბის წევრთა თანხლებით. როცა ჟორდანია ჩვენს რაზმს მიუახლოვდა ასე მიესალმა „სოც.-ფედერალისტების გვარდიას გაუმარჯოს“ „გაუმარჯოს საქართველოს“ უპასუხეს მას.

ქაშვეთის ჩასავალთან მოხდა მისალმება. სიტყვებით წარმოსთქვეს ვ. ჯუღელმა, სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ—რომელმაც ჯუღელს გვარდიისათვის რეგულიარულ ჯარის სახელით მიართვა საყვირი. მიულოცეს აგრეთვე მილიციის უფროსმა, პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელმა და სხვა. პარადი და მისალმება დასრულდა და გვარდია და ჯარები მჭყობრას მუსიკითა და სიმღერებით ერევნის მოედნითა და ვორონცოვის ხიდით მიხეილის პროსპექტზე გაემართნენ, როდესაც გვარდიის პირველი ნაწილი მიხეილის ქუჩაზე გერმანელების ეკლესიას დაუპირდაპირდა ჯარების ბოლო ერევნის მოედანსა და პუშკინის ქუჩასა სწვდებოდა. „კაროჩხი“ ქუჩასთან დაიწყო მწყობრი და ჯარისა და გვარდიის ყველა ნაწილი თავის ბინისაკენ გაემართა. რაიც დღის სამ საათზე დასრულდა.

ლამაზი სანახავი იყო ქალაქი ღამით: ქუჩები, შენობები და თვალსაჩინო დაწესებულებანი მორთული იყო სადღესასწაულო დროშებით, ხალიჩებით და გაჩაღებული ფერადებით.

მშვენიერი იყო განსაკუთრებით სასახლე და ქალაქის გამგეობის შენობა რომელიც მორთული იყო გაჩირაღდნებულ გირლანდებითა და სალიჩებით. ქალაქის ქუჩებში ტრამვაი ღამის პირველ საათამდე მოძრაობდა და ყველა თეატრებსა და კინემატოგრაფებში სადღესასწაულო წარმოდგენა იყო დანიშნული

სამეგრელოში

ამაყს, თავმომწონეს და ფიცხად ზრდილს მეგრელს თავდავიწყებამდე უყვარს სუფთად ჩაცმა-დახურვა და თოფიარაღი ცხენი ხომ მის ვაჟკაცობისა და კაცურ-კაცობის დამამშვენებელ გვირგვინად ითვლება. მეგრელი უცხენოდ,—ეს იგივეა, რაც თევზი უწყლოდ, კაცი უჰაეროდ. რამდენიმე თუ არა, ერთი ცხენი მაინც უნდა ჰყავდეს მეგრელს, მით უფრო, რომ ცხენი მის ყოველდღიურს ცხოვრებაში ხშირად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და თანაც მისი შენახვა ამ მუდმივ ბალახიანს კუთხეში დიდს ხარჯს არ მოითხოვს. ამიტომაც მეგრელი არაფერს ერიდება და ცხენს უეჭველად იძენს, ხშირად კანონით აღკრძალულ გზითაც.

ცხენით თავმომწონეობს მეგრელი და ამავ ცხენისთვის ხშირად უკიდურეს თავდამცირებასაც კისრულობს. ჩვენი მოგზაურობის დროს იძულებული გავხდით პარტიზანულ რაზმის საჭიროების სათვის ზოგისთვის ცხენები ჩამოგვერთმია სარეკვიზიციო წესით. ამით დიდად ღონდებოდნენ მეგრელნი და თითქმის სასოწარკვეთილებამდე მიდიოდნენ. მათი მწუხარება ჩვენთვის, რასაკვირველია, გასაგები იყო, მაგრამ ცხენების ჩამორთმევის საჭიროებაც აუცილებელი.

აი ახლაც შტაბის წინ მეგრელნი დაგროვილან და სურთ ერთხელ კიდევ სცადონ ცხენების დაბრუნება. მათ საცოდავი სახე მიუღიათ და ხელში უჭირავთ სხვა და სხვა „საბუთი“ იმისა, რომ ჩამორთმეული ცხენი ერთად-ერთი მარჩენალია ღარიბის ოჯახისა, ან ეს ცხენი მილიციონერს ეკუთვნის და მაშასადამე მისი ჩამორთმევა არ შეიძლება და სხვა.

— გედევანს ყველა აქებს, კარგი კაციაო და ნუ თუ ცხენს წამართმევსო,—მეკითხება ერთი მეგრელი.

მე მას დუმილით ვპასუხობ, რადგანაც არ ვიცი, რა ვუთხრა. სხვებიც რაღაცას მეუბნებიან მეგრულად, მაგრამ არ მესმის. ის კი ცხადია, რომ ცხენებზე ძღლაპარაკებიან.

ასეთ მთხოვნელების რიცხვი თან და თან იზრდება. იწყება ცრემლების ღვრა და მოთქმა. წერილობითს, თუ სიტყვიერ „საბუთებს“ თვალა აღარ აქვს. როცა მეგრელი გრძნობს, რომ მისი საბუთები და ცრემლები საკმაოსი არ არის ცხენის დასაბრუნებლად, იგი მთლად კარგავს თავის ჩვეულებრივს თავმოყვარეობას, მუხლთ იჩოქებს და ხელფეხზე ჰკოცნის იმას, ვისზედაც დამოკიდებულია ცხენის დაბრუნება. ხშირად მეგრელის ცრემლები და უსაზღვრო მოთქმა მის არტისტიულ ნიჭს უფრო ამჟღავნებს, ვიდრე მის გულში დახშულ ცეცხლს, მაგრამ იმდენად მომაბეზრებელი და არა სასიამოვნოა ეს სურათი, რომ იძულებული ვართ, ზოგს ისევ უკან დაუბრუნოთ ჩამორთმეული ცხენი და ამით სარეკვიზიციო წესი დავარღვიოთ.

ამ წერილში მსურს აღვნიშნო ორი კარგი პიროვნება, რომელნიც სამეგრელოში გავიცანით და რომელნიც ჩვენთან ერთად მოგზაურობდნენ სამეგრელოში. ესენი არიან კოწია ნაროკიძე და არტემ ჩემია. ორივე მენშევიკია ისინი, როგორც ქუთაისის საგუბერნიო კომისარიატის რწმუნებულნი მუდმივ ჩვენს ჯართან დადიოდნენ და ჩვენთან სრულის შეთანხმებით მოქმედებდნენ. ერთის მხრით განაგებდნენ წესიდა ადმინისტრატიულს საქმეს და მეორე მხრით ხალხს უხსნიდნენ (მეგრულად) საქართველოს საერთო მდგომარეობას და დემოკრატიულ რესპუბლიკის მნიშვნელობას. ამ ორ კაცს ჩვენ შევეჩვიეთ. ისინიც შეგვეჩვივნენ. მათთანვე გვიხდება მოგზაურობა სამურზაყანოშიც, სადაც ჩვენი რაზმი უკვე გამგზავრებულია.

ამ ორი კაცის შემდეგ მკითხველთ ერთი არა სასიამოვნო პიროვნება უნდა გავაცნო. ეს არის ძველი სენაკის მცხოვრები გიორგი ქავთარაძე (ქავთარია). მას მთელი სამეგრელო იცნობს. იცნობენ სამეგრელოს გარედაც, რადგანაც იგი ძალზე მდიდარი კაცია და მისი ქონება მრავალგან არის გაფანტული.

აი ეს გიორგი ქავთარაძე სწორედ პირად გაუზდა ბათომის პარტიზანულ რაზმის შტაბს, რომელმაც ამ ქავთარაძეს საერთო სარეკვიზიციო წესით ორი ცხენი ჩამოართვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ცხენების რეკვიზიციის დასტური შტაბმა სამხედრო მინისტრისაგანაც მიიღო, რომელმაც იმ დროს შემთხვევით სენაკზე გამოიარა; თუმცა მინისტრის დასტური საჭიროც არ იყო, რადგანაც მილიონერს ქავთარაძეს ამ ცხენების გარდა სხვა ცხენებიც ჰყავს და მაშასადამე დაბრკოლება არავითარი არ იყო ცხენების ჩამოსართმევად.

ეს დიდად იწყინა მდიდარმა ქავთარაძემ და მუქარაც შემოთვალა:

— თქვენივე ხელით უკან მოგაყვანინებთ მაგ ცხენებსაო.

აღსანიშნავია, რომ ამ ცხენების ჩამორთმევა ხალხში დიდს გაკვირვებას და კმაყოფილებას იწვევდა.

— ძლივს სამართლიანობა არა ვნახეთ,—იძახდნენ ისინი.—აქამდე ცხენებს მარტო ღარიბებს ართმევდნენო.

ქავთარაძემ „მუშაობა“ დაიწყო. როგორც სხვა მეგრელებს, მასაც წინადვე დამზადებული აღმოაჩნდა „საბუთი“ იმისა, რომ ამ ცხენებით ქავთარაძე ძველი და ახალ სენაკის შორის ფოსტას ატარებს და მაშასადამე ამ ცხენების ჩამორთმევა უდრის ძველის სენაკის მოწყვეტას ახალ სენაკისაგან. ამის წერილობით „საბუთს“ მოჰყვა მეორე, ამავე ღირსების საბუთი—მოწმობა ძველის სენაკის ფოსტის უფროსისა.

ცხენები ქავთარაძემ უკან ვერ მიიღო, რადგანაც დამტკიცდა, რომ ამ ცხენებს არასოდეს ფოსტა არ უზიდნიათ და ფოსტას (სულ რამდენიმე წერილს) მუდამ ატარებდა ერთი გამხდარი ცხენი, მანძილი კი ძველსა და ახალ სენაკს შუა სულ 6 ვერსია.

რაკი ქავთარაძე აქ ვერას გახდა, იგი „მაღალ სფეროებში“ შეუდგა საქმის გაკეთებას ძველის სენაკის ფოსტის უფროსის ხელის შეწყობით. გასაოცარია, რომ ქავთარაძემ ერთსა და იმავე დროს სწრაფად მოაწყო საქმე როგორც ტფილისსა, ისე ქუთაისში. შედეგად ამ „საქმიანობას“ ის მოჰყვა, რომ შტაბს ზედი-ზედ მოუვიდა დეპეშები მთავრობის სათავეში მდგომ პირებისა ტფილისიდან და ქუთაისიდან. დეპეშების შინაარსი ერთი და იგივე იყო.

— გთხოვთ ცხენები დაუბრუნოთ ქავთარაძეს.

ცხადი იყო, რომ ქავთარაძეს მეცდომაში ჰყავდა შეყვანილი ყველა ხსენებული პირი. ამიტომ ცხენების დაბრუნება შეჩერებულ იქნა იმ დრომდე, ვიდრე დეპეშის ავტორებს პირადად არ ინახულებდა ბათომის პარტიზანულ რაზმის უფროსი. მართლაც, როგორცავე გაიგეს მათ საქმის ვითარება, თითქმის ერთი და იგივე სთქვეს.

— არავითარ შემთხვევაში არ დაუბრუნოთ ცხენებიო.

დავანებოთ თავი ამ ღარიბ მილიონერს და ახლა კარგს მოქალაქეზე ვილაპარაკოთ. ეს არის ჰასან მამედოვი, ტომით ლეკი, რომელიც ზუგდიდში სცხოვრობს ცოლშვილით.

ეს ჰასანი ჯერ კიდევ სენაკში გავიცანი და ხშირად ვხვდებოდი ხოლმე მას უკან. მას ძალიან მოსწონდა ჩვენი რაზმი და მისი უფროსი გენერალი როსებ გედევანიშვილი. არა ერთხელ უთქვამს, მინდა რაიმე კარგი სახსოვარი მივართვა გენერალ გედევანიშვილსაო და კი არ ვიცი რა მივართვა ისეთიო

აი ეს ჰასანი ერთს დღეს უცებ შემოდის შტაბში (ზუგდიდში) და გენერალ გედევანიშვილს მიმართავს:

— თქვენო აღმატებულებავ! მე მინდა ჩვენებურად პატივი გცეთ თქვენა და თქვენს რაზმს და ნუ გამიწყრებით. მე გადავწყვიტე შემოგწიროთ ის, რაც ჩემთვის ამ ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასია. ეს არის ჩემი ერთად ერთი შვილი ჰუსეინ. იყოლიეთ რაზმში და იმსახურეთ. თქვენ უბრძანეთ, მორჩილებას თვით მოახერხებს. იგი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლობს, მაგრამ არ მინდა რომ ისწავლოს მან იმ დროს, როდესაც ქართველი მოწაფენი სკოლის ნაცვლად ბრძოლის ველზე იმყოფებიან.

ამის შემდეგ მოჰყავს ჰასან მამედოვს თავისი შვილი ჰუსეინ, 16—17 წლის ყმაწვილი, ჯმუხის აგებულებისა და ცოცხალის გამომეტყველებისა.

ჰასანს ეკითხებიან:

— თქვენ ერთი შვილი გყავთ, ამიტომ ცოდო ხართ, რომ შვილი ან ავად გახდეს, ან მოკვდეს ბრძოლაში.

— თუ კაცს სიკვდილი უწერია,—მოჰრით ამბობს ჰასან მამედოვი —ყველგან მოკვდება. მე საქართველოში ვცხოვრობ და საქართველოს პურსა ვჭამ. საქართველოშივე უნდა იცხოვროს ჩემმა შვილმაც თუ მაგას დავაჟკაცება არ უწერია და ნაადრევი სიკვდილია მაგისი ბედი, დაე მოკვდეს იგი იქ, სადაც საქართველოს საუკეთესო შვილები დაიხოცებიან.

ასეთია მტკიცე და შეურყეველი გადაწყვეტილება ჰასანისა. ამიტომ მისი ვაჟი ჰუსეინი სიხარულით შემოდის რაზმში და რეალისტის ტანისამოსს ჯარისკაცის სამოსელში სცვლის. მან ერთნაირად კარგად იცის ქართულ-მეგრული და რუსული ენა. იცის თავისი მშობლიური ენაც.

სექტემბრის 28-ს ვეთხოვებით სამეგრელოს და სამურზაყანოსკენ მივემგზავრებით.

მშვიდობით მკვირცხლო, ნიჭიერო დასტუმართმოყვარე სამეგრელო!

ღმერთმა ხულარ მოგვიყვანოს შენს არე-მარეზე ცეცხლითა და მახვილით!!

რ. ბ—ლი.

სახ. მასწავლებლის ალ. თომას ძე მაჭარაძის ხსოვნას

(წლის თავზე)

სამობათ შესრულდება ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც ქართულმა სახალხო სკოლამ დაჰკარგა დამსახურებული. გამოცდილი და ერთგული მუშაკი ალექსანდრე თომას ძე მაჭარაძე, რომელიც 35 წლის განმავლობაში ხანგრძლივ სახალხო გზაზე დაუღალავად სწეოდა სახალხო მასწავლებლის მძიმე უღელს. განსვენებული დაიბადა ხონის მახლობლად ს. ივანდიდში 1858 წ. იყო ღარიბი მღვდლის შვილი, განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ხონის სამასწავლებლო სემინარიაში დაიჭირა გამოცდა სახ. მასწავლებლის წოდებისა და 1879 წლიდან შეუდგა მასწავლებლობას, რასაც პირნათლად ასრულებდა სიკვდილამდი; ამავე დროს განსვენებული იღებდა მონაწილეობას სხვა და სხვა კულტურულ საქმეებშიაც; მან დაარსა ხონში სტამბა, რომელიც დღესაც დიდ სამსახურს უწევს იქაურ საზოგადოებას, ითვლებოდა აღმასრულ. წ. კითხვის საზოგადოების, მდივნად, ქართველ მასწავლებელთა კავშირის განყოფილების თავმჯდომარეთ, აღმასრულებელ კომიტეტში წევრად, არჩეული იყო მასწავლებლების მიერ საეპარქიო სკოლების მეთვალყურეთ და სხვა... მიმართულებით იყო სოც.-ფედერალისტი და კარგი პარტიული მუშაკი.

ალექსანდრე მაჭარაძის სიკვდილით ქართულმა გაეროვნებულმა სკოლამ დაჰკარგა საკმაოდ მომზადებული მასწავლებელი და პატიოსანი მუშაკი, დღეს ქ. ხონში მის მიერ დაარსებული ორ კლასიანი ქალთა სკოლა საპროფესიო განყოფილებით გადაკეთდა ქალთა უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად, რომელსაც განაგებს განსვენებულის მეუღლე, დამსახურებული მასწავლებელი ქალი ეკატერინე მესხის ასული.

ლადო ზუბენელი.

გამომცემელი
ხამხონ ფირცხალავა
რედაქტორობს სარედ. კომიტეტი.

იყიდება სახლი ტარიელოვის შესახვევში № 9 შესდგება ექვსი ოთახისგან მიწა 75 კვად. საჟენი პირობები შეიტყეთ გორის ქუჩ. № 18 იკითხეთ ერისთავი. 2588

საექიმო მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ახვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი № 41, ტელეფონი 11—65. 2554

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ს. ტ. აბაშიძე შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამიცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლებობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 26. ტელ. 6—86.

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს. დღე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შ ნაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაჭერეტის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი ქალი რ. ბ. შიუკაშვილი-საჯაია მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ქლინიკური მეანურ-ქირურგიულ კლინიკისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამეანო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მთაწმინდის ქ. № 11. 2245

ექიმი ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 3—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლოს. 2105

ექიმი მ. მ. ხარიტონოვი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეწხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნიცა“-ს პირდაპირ № 8. 301

ექიმი ქ. ტუშმალიშვილი, განახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისის, „914“-ის შეწხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, ... ხეილის ქუჩ. № 167. 240

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სამგზით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმონოვის აფთიაქის პირდაპირ. 908

თამარის სამკურნალო ბუღიჟიძე ხაზთ ბაიბურთ დონჩენკოსა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენაში და პარიზში ... კლინიკებში. ღებულობს ავადმყოფთ მიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ამაღლის კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და სამეჭრაკო ავადმყოფები ხელფასით მიიღებიან. 62

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლოჟეშვილისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულის კუჭისა და ჭლექისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, მ. მ. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2024

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ბ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა)
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი) კუჭისა და ჭლექისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
ხაწყლებს უფასოდ. 1340

კერძო სამკურნალო
მძ. ა. დ. ალადაშვილის
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ბრეების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ. ტუმალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლის) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბავშვო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხატრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აბანო და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ვეხახოვის მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2178

ექიმ ნაზარბეგიანის კერძო საავადმყოფო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვერისხევის ძველის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ა. ნაზარბეგიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
მ. მ. აგახაროვი 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
მ. გ. ავეტისიანი—კანის და ვენერიული ავადმყოფები 12—1 ს.
ი. ი. ფრ-ვრეგოვიანი 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 8 მნ. ხელმოკლეთთვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეღავათიანი.

,,სორაპანის“ გამომცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ახალი სტილით
1919 წლის კალენდარი
სახალხო კალენდარი, მოძრავი კალენდარი (передвижной)
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
კალენდრებში უქმეები ახალ სტილზედ დალაგებულია საკათალიკოსო საბჭოს განკარგულებით.
მისამართი: ტფილისი, სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძისა. 2526